

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მოედანში ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი გაიხსნა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მოედანში ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი გაიხსნა.

საზეიმო წირვას, რომელიც შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მეუფე **იოსებმა** სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** დაესწრნენ.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 4 (10471) 15 თებერვალი 2024 წ. ფასი 80 თეთრი.


## გაზეთ „ალიონის" რედაქციის შენობაში ცეცხლის წაკიდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა



**ალიონი.** 12 თებერვალს, დილით, ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ქალაქის მერიის შენობაში ცეცხლის წაკიდების ფაქტი დაფიქსირდა.

ჯერჯერობით გამოძიებისათვის უცნობმა პირებმა გაზეთ „ალიონის" რედაქციის ფართში ხანძრის გაჩენის მიზნით გარკვეულ სითხეს ცეცხლი წაუკიდეს და იმავდროულად რედაქციის ფანჯარაში პოლიეთილენის ბოთლით საწვავიც შეასხეს.

საბედნიეროს ხანძრის კერა არ გავრცელდა და შენობა, სადაც სტატისტიკის გურიის სამმართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი, განათლების მუშაკთა პროფკავშირები, „გურიის მოამბის" რედაქცია, და სხვა დაწესებულებებია განთავსებული, დაწვას გადაურჩა. მიყენებულია გარკვეული მატერიალური ზარალი.

შემთხვევის ადგილას მოვიდნენ სახანძრო-სამაშველო სამსახურის, შსს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს ექსპერტ-გამომძიებლები.

მომხდარზე დაიწყო საგამოძიებო მოქმედებები, აღძრულია საქმე სსს კოდექსის 187 -ე მუხლის მე-2 ნაწილის ა - ქვეპუნქტით.

„ალიონის" რედაქცია გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სხვა კომენტარისაგან თავს იკავებს.

## რა ხდება აკეთში და რატომ იცვლის კალაპოტს პერიოდულად მდინარე სუფსა

### მდინარე სუფსაში ქვა-ღორღის ამოღება არ ცდება განსაზღვრულ არეალს, – აცხადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

**ალიონი.** 11 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში, მდინარე სუფსის სანაპიროსთან, ხალხმრავალი აქცია გაიამართა. აქციის მონაწილეები კომპანია „ახალი ქარხანა" მიერ მდინარე სუფსის აუზში ინერტული მასალის კანონდარღვევით ამოღებას აპროტესტებდნენ.



აკეთელები ამბობდნენ, რომ ინერტული მასალების არასწორი მოპოვების გამო მდინარემ საყანე ფართობები მიიტაცა, ასევე გაანადგურა მდინარისპირა საძოვრები, რომლითაც ამ სოფლის მაცხოვრებელთა პირუტყვი სარგებლობდა, ჭებში დაშრა წყლები, კარიერის ზემოთ, სუფსის შენაკადის, მდინარე აცაურას კალაპოტი იცვლება. დაინგრა ხიდიც. დაწყებულია მეწყერული პროცესები. თუ ასე გაგრძელდა, ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

მოსახლეობა გულახდილად საუბრობდა მედიასთან თავის გასაჭირზე და არაერთი კომენტარი ჩავწერეთ.

*— 3 ვაჟის დედა ვარ. უფროსი 12 წლისაა. დღე და ღამ ვშრომობთ. 7 სული მსხვილფეხა პირუტყვი გვყავს. შარშან 0,7 ჰექტარ სიმინდის ფართობში ძალიან მცირე მოსავალი მივიღეთ. პირუტყვს ფაქტიურად საძოვარი აღარ აქვს. მდინარის გაღმა რომ გავიდეს, შესაძლოა ექსკავატორების მიერ ამოღებულ ჭაში ჩავარდეს და დაიხრჩოს. მუდამ ბაგურ კვებზე ხომ არ გვეყოლება პირუტყვი. შემოსავლის გარეშე სოფელში რა გვინდა. ისედაც სანახევროდ დაცარიელებულია აქაური სოფლები და როცა გაიზრდებიან, რა ვუთხრა ჩვენს შვილებს, სოფელში დარჩი და ასეთ პირობებში იცხოვრეო. ესაა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება? —*გვითხრა **ლელა გოგრიჭიანმა.**

*— აქაური ვარ. პროფესიით ჰიდროქიმიკოსი. წლების მანძილზე ვმუშაობდი ქ. ბათუმში გარემოს დაცვის ინსპექციაში ჩემი სპეციალობის მიხედვით. ძალიან ცუდი მდგომარეობაა სუფსის ხეობაში. ინერტულ მასალას მდინარის აუზში წესების დარღვევით დასაშვებზე გაცილებით მეტ სიღრმეზე იღებენ. სველი ქვიშა მიაქვთ. ზიანდება ცენტრალური გზები. აკეთშიც საუბნო გზები სავალალო მდგომარეობაშია —* გვითხრა **ლაურა ქურიძემ.**

**სოსო ქურიძის** თქმით, ინერტული მასალების არასწორმა მოპოვებამ, მდინარის დაღრმავებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს სიმინდის კულტურის დაბალი მოსავლიანობა. ისიც აცხადებს, რომ სოფლისთვის საძოვრების განადგურება კატასტროფას ნიშნავს.

**ოთარ ხურციძის** თქმით კი არასწორია ადგილობრივი ხელისუფლების განცხადება, თითქოს სოფლის მოსახლეობამ თანხმობა განაცხადა სუფსის აუზში კარიერის გახსნაზე და ამიტომ ითხოვს ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან თუკი მსგავსი რამ არსებობს, წარმოადგინონ.

*— მდინარის აუზის მიმდებარე ფართობები სოფლის საძოვრები იყო და რატომ შეუცვალეს სტატუსი, საინტერესოა. **კომპანია „ახალი ქარხანა", რომელმაც ლიცენზია 2022 წლის თებერვალში მიიღო, კანონდარღვევით ასრულებს ლიცენზიის პირობებს. პერიოდულად კალაპოტს უცვლის** მდი-*


▶▶▶ გვ—3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## გურიაში სახელმწიფო რწმუნებული მოქალაქეთა ყოველკვირეულ მიღებას დაესწრო



გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** მოადგილესთან **ზაზა შოშიტაიშვილთან** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან **ალექსანდრე სარიშვილთან** ერთად მოქალაქეთა ყოველკვირეულ მიღებას დაესწრო.

სახელმწიფო რწმუნებულმა ადგილობრივებისგან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები მოისმინა, რომელიც ძირითადად სოციალურ, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურულ საკითხებს შეეხებოდა.

## შემოქმედში ჩაის ფაბრიკის ავარიულ კორპუსში მცხოვრები ოჯახები სახელმწიფოსაგან ფულად დახმარებას მიიღებენ



ოზურგეთის მერი, **ავთანდილ თალაკვაძე,** მოადგილეებთან ერთად, განსახლების საკითხზე სოფელ შემოქმედში, ე.წ. „ჩაის ფაბრიკის“ ავარიულ კორპუსში მცხოვრებ მოქალაქეებს შეხვდა და მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას გაეცნო.

*–„ჩვენ ეს შენობა საფუძვლიანად შევამოწმეთ. ექსპერტების დასკვნის თანახმად იგი ამორტიზებულია და ექვემდებარება დემონტაჟს. ამიტომ, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, აქ მცხოვრები 33 ოჯახი მიიღებს ფულად დახმარებას – 30 000 ლარის ოდენობით, რათა მათ შეძლონ ალტერნატიული ფართის შეძენა და უსაფრთხოდ განაგრძონ ცხოვრება. ღირსეული და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი და მთავარი დაპირება იყო,“-* აღნიშნა ოზურგეთის მერმა.

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო.



საკონსულტაციო შეხვედრები სოფელ ძიმითში და სოფელ ნაგომარში ჩატარდა, სადაც ოზურგეთის მერის მოადგილემ, **ნიკა ბოლქვაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, **ტარიელ აროშიძესთან** ერთად, მოქალაქეებს პროგრამით დასაფინანსებელი პროექტები გააცნო. შეხვედრებზე ადგილობრივებმა ხმათა უმრავლესობით შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია აირჩიეს.

მიმდინარე წელს ოზურგეთს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 086 000 ლარი გამოეყო. მერია კი პროექტების განსახორციელებლად თანადაფინანსების ვალდებულებას იღებს.

მოსახლეობასთან შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მიმდინარე წლის 12-25 თებერვლის ჩათვლით

## ახალი პროექტი ინფორმაციული უსაფრთხოების შესაძლებლობების და კიბერ მედეგობის გასაძლიერებლად

ახალი პროექტი ბათუმის, ჩოხატაურის და ქუთაისის მუნიციპალიტეტებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს № SDA-ს ინფორმაციული უსაფრთხოების შესაძლებლობების და კიბერ მედეგობის გასაძლიერებლად

მომდევნო 11 თვის განმავლობაში, ჩვენი პარტნიორი, წამყვანი ადგილობრივი IT კომპანია UGT, საერთაშორისო კონსულტანტის ჩართულობით, მჭიდროდ ითანამშრომლებს ჩვენს პარტნიორებთან, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და განსამტკიცებლად ადგილობრივი მარეგულირებელი ჩარჩოს და საერთაშორისო სტანდარტების (ISO/IEC 27001) შესაბამისად.

პროექტი ასევე ითვალისწინებს, ინტენსიურ ტრენინგებს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ბათუმის, ჩოხატაურის, ქუთაისის მუნიციპალიტეტების და SDA -ს თანამშრომლებისთვის. ამავე საკითხებზე ასევე დაგეგმილია ტრენინგები ბათუმის, ჩოხატაურის და ქუთაისის ადგილობრივი სამოქალაქო სექტორისთვის, ახალგაზრდობისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.



## ოზურგეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვა-ტარებისთვის ორი პირი დააკავეს





გურიის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად 2 პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი **გ.გ.**-ს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 6 ვაზნა, ხოლო, 1982 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი **ა.შ.**-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 20 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

სულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 20 პირი, 1 კი მხილებულია.

## სოფელ შემოქმედში ხანძარი მოხდა



11 თებერვალს, საღამოს სოფელ შემოქმედისა და წითელმთას შორის ტყეში ხანძარი გაჩნდა. ადგილობრივები ხანძრის გაჩენის მიზეზად დაუდევრობას ასახელებენ.

ხანძარი დაახლოებით 2 ჰექტარ ფართობს მოიცავდა.

კარგად იმუშავეს ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეხანძრეებმა და ხანძარი დროულად ჩააქრეს.

# რა ხდება აკეთში და რატომ იცვლის კალაპოტს პერიოდულად მდინარე სუფსა

## მდინარე სუფსაში ქვა-ღორღის ამოღება არ ცდება განსაზღვრულ არეალს, – აცხადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



ნარეს, საფრთხეს უქმნის დარჩენილ სავარგულებს.

ლიცენზიით მათ 2027 წლის ბოლომდე 120 ათასი კუბ. მეტრი ინერტული მასალა უნდა ამოიღონ, წლიურად ერთჯერადად დაახლოებით 20-25 ათასი კუბური მეტრი, მაგრამ მათ ინერტული მასალის უმეტესობა უკვე ამოიღეს. სოფელი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას – განაცხადა ოთარ ხურციძემ.

აქციაზე იმყოფებოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის თავმჯდომარე **თამაზ ტრაპაიძე,** რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევს მოსახლეობას.

*— **საიას ოზურგეთის ოფისს გამოთხოვილი აქვს საჯარო ინფორმაცია, რომლის მიღებისა და დამუშავების შემდეგ შეგვეძლება ვთქვათ, რამდენად კანონიერად ხდება ქვიშა-ხრეშის მოპოვება. მანამდე კი გვაქვს ეჭვი, რომ ლიცენზიანტი კომპანია წიაღის მოპოვებას ახორციელებს კანონის დარღვევით, კერძოდ:***

*1. **პერმანენტულად ახდენს მდინარის კალაპოტის შეცვლას;***

*2. **უშუალოდ მდინარიდან იღებს ინერტულ მასალას და პირდაპირ ტვირთავს სატვირთო ავტომობილებს;***

*3. **არ ხდება ავტომობილების აწონვა კარიერის გასასვლელში, არ ხდება დათვლა თუ რამდენი ტონა ქვიშა – ხრეში იქნა მოპოვებული აღნიშნული კარიერიდან. (ყოველ შემთხვევაში ამის ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, რადგან არცერთი ორგანო ამით არ არის დაკავებული);***

*4. **არავინ ამოწმებს ლიცენზიით განსაზღვრულ 1,5 მეტრ სიღრმეზე მეტად ხდება თუ არა წიაღისეულის მოპოვება.*** — განაცხადა გაზეთ ,,ალიონთან“ თამაზ ტრაპაიძემ.

გაზეთი ,,ალიონი“ ამ საკითხთან დაკავშირებით **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურს** დაუკავშირდა:

მედიასთან კომენტარს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია აკეთებს:

–,,კომპანია ,,ახალი ქარხანა“ ლიცენზირებულია შესაბამისი სამინისტროს მიერ. **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ პერიოდულად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოების შემოწმება**. მათი ინფორმაციით არანაირი დარღვევა არ ხდება და ქვა-ღორღის ამოღება არ ცდება განსაზღვრულ არეალს. დარღვევის შემთხვევაში, სპეციალისტების მიერ, მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები“, – გვპასუხობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.

# განახლებადი ენერგია, როგორც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გზა



2023 წლის ივლისი კაცობრიობის ბოლო რამდენიმე ასწლეულის ისტორიაში ყველაზე ცხელ თვედ გამოცხადდა. მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ (WMO) დაადასტურა, რომ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2023 წლის ივლისში, წელიწადის ამ დროისთვის, ისტორიულად სამი ყველაზე ცხელი დღე და ოკეანის ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა. აღნიშნულ ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მყისიერი რეაქციები და განცხადებები მოჰყვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, **ანტონიო გუტიერეშმა** კი თქვა,რომ გლობალური დათბობის ერა გლობალური დუღილის ერამ ჩაანაცვლა.

ამგვარად, ნომერ პირველ გამოწვევად დასახელებული კლიმატის ცვლილება მსოფლიო ლიდერების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ, ამჯერად, უფრო აქტიურად მოექცა. გლობალური დუღილის ერა კი, ის თემა გახდა, რომლის განხილვისა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობის გარეშეც მსოფლიოს მასშტაბით არც-ერთი მნიშვნელოვანი ოფიციალური ღონისძიება არ ჩატარებულა.

2023 წლის დეკემბერში, გაეროს კლიმატის ცვლილების რიგით 28-ე სამიტის მონაწილე ქვეყნებმა, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღეს და ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად წიაღისეული საწვავის ჩანაცვლების მიზნით, განახლებადი ენერგიის მოცულობა უნდა გასამმაგდეს. კლიმატის ცვლილებას იწვევს გარემოში ჭარბი ოდენობით სათბური აირების გაფრქვევა, ამ პროცესის შესაჩერებლად და შესაბამისად,დედამიწის გადასარჩენად, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის, რაც შეიძლება სწრაფი ტემპით, განახლებადი იგივე მწვანე ენერგიის წყაროებზე გადასვლა, რაც გულისხმობს, მეტი ჰიდროელექტროსადგურის, მზისა და ქარის სადგურების მშენებლობას. სწორედ ამ მიზნით,მოეწერა ხელი გადაწყვეტილებას განახლებადი ენერ-გიის მოცულობის გასამმაგების თაობაზე.

განსახილველ საკითხებს შორის, მთავარ ადგილს სწორედ კლიმატის ცვლილება იკავებდა 2024 წლის იანვარში, შვეიცარიის ქალაქ დავოსში გამართულ ყოველწლიურ ეკონომ-იკურ ფორუმზეც.

კლიმატის ცვლილება ეხება ყველა სახელმწიფოს და ყველა ადამიანს, რადგან ამ მოვლევას არ გააჩნია საზღვრები, შესაბამისად მსოფლიოში მიმდინარე ამ აქტიურ პროცესებში საკუთარი როლი აქვს საქართველოსაც. ჩვენი ქვეყნის გაცხადებული მიზანი არის განახლებადი ენერგიის ობიექტების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს, როგორც გარემოში მავნე სათბური გაზების გაფრქვევის შემცირებას,ასევე იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებასაც, ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ,ქვეყანას ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში დაეხმარება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არსებული გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, ქვეყანას განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობა ჰიდროენერგეტიკის განვითარების მიმართულებით აქვს, რადგან ამ დროისათვის არსებული პოტენციალის მხოლოდ 20%-ია ათვისებული.

საერთო მიზნის მიღწევის პროცესში ხელისუფლების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რა სარგებლის მოტანა შეუძლია განახლებად ენერგიას და რამდენად უწყობს ხელს მასზე გადასვლის პროცესი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას, ამ საკითხებზე ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი, **დავით კობერიძე** გვესაუბრა.

**— ბატონო დავით, პირველ რიგში, როგორ შეაფასებთ განახლებადი ენერგიისა და მისი წარმოების მნიშვნელობას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ამჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით?**

*— განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორიცაა ჰიდროელექტროსადგურები, ასევე მზისა და ქარის სადგურები, კლიმატის ცვლილების ტემპის შესაჩერებლად ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. ამაზე მთელი ცივილიზებული მსოფლიო ჯერ კიდევ წლების წინ შეთანხმდა. მეტიც, 2019 წელს, მსოფლიო ლიდერების ჩართულობით შეიქმნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ევროპის მწვანე ინიციატივა, რომლის მიზანიც 2030 წლისთვის სათბური აირების ემისიების 1990 წელს დაფიქსირებული მაჩვენებლის მინიმუმ 45%-ით შემცირება, ხოლო 2050 წლისთვის ნახშირბად ნეიტრალურობის მიღწევაა. ამ პროცესის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად კი სწორედ, წიაღისეულ საწვავზე უარის თქმა და მისი სრულად, განახლებადი ენერგიით ჩანაცვლება განიხილება. დაახლოებით ერთი თვის წინ, ისტორიული გადაწყვეტილების მომსწრეებიც გავხდით, კერძოდ, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში განახლებადი ენერგიის მოცულობა უნდა გასამმაგდეს. ეს მოვლენები, იმის დადასტურებაა, რომ სწორედ განახლებადი ენერგიაა კლიმატის ცვლი-ლებასთან ბრძოლის და მისი შეჩერების ულტერნატივო საშუალება.*

*აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სხვა ენერგიის ფორმებთან შედარებით, სწორედ ჰიდროელექტროსადგურებია სტაბილური ენერგიის წყარო, რადგან მაგალითად, ქარისა და მზის სადგურების მუშაობა მეტწილად ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული. ამასთან, ჰიდროელექტროსადგურები ე.წ სათბ-ური გაზების დაბალი გამოყოფით გამ-ოირჩევა ოპერირების პერიოდში, რაც დეკადები გრძელდება და შესაბამისად, ძალიან დადებითად აისახება გარემოზე. მოგეხსენებათ, რომ სათბური გაზები გლობალური დათბობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი განმაპირობებელი ფაქტორია.*

**— ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, მაგალითისთვის, ქვეყანაში 26 ათასზე მეტი მდინარეა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად მნიშვნელოვანია, საქართველომ განაგრძოს დარგის განვითარება, რათა ერთი მხრივ, წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში, მეორე მხრივ კი საერთაშორისო ასპარეზზე დაპოზიციონირდეს, როგორც სუფთა და უსაფრთხო ენერგიის მწარმოებელი ქვეყანა?**

*— სამწუხაროდ,დიდი პოტენციალის მიუხედავად, საქართველო დღეს გარკვეულწილად დამოკიდებულია წიაღისეული საწვავის რესურსების გამოყენებით მიღებულ იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე. თუ გვაქვს პრეტენზია, ვიყოთ განვითარებული ქვეყნების სიაში, როგორც არის ავსტრია, შვეიცარია თუ სხვა,აღნიშნული პრობლემის დაძლევის თვალსაზრ-ისით, მათ ტემპს ფეხი უნდა ავუწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დავდგებით საშიშროების წინაშე, რომ ერთი მხრივ, გამოვეთიშოთ გლობალურ პროცესებს, მეორე მხრივ კი, დამოკიდებული დავრჩეთ,რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არასაიმედო მეზობლის იმედზე.*

**— თქვენ ხშირად საუბრობთ, რომ ბახვი ჰესი პროექტის განხორციელების პროცესში მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვისა და აღსრულების პრაქტიკით გამოირჩევა. როგორ ფიქრობთ, რამდენად და რატომა არის მნიშვნელოვანი ამ მიდგომის პოპულარიზაცია?**

*— კლიმატის ცვლილებაზე საუბრისას, წარმოუდგენელია არ ვიფიქროთ მაღალ გარემოსდაცვით სტანდარტებზე, რადგან კლიმატის ჩამოყალიბების პროცესში მთავარ როლს სწორედ გარემოს კომპონენტები ასრულებს, მაგალითად,წყალი, ჰაერი, მწვანე საფარი. შესაბამისად, როცა გაჩნდა გურიაში ბახვი ჰესის განვითარების იდეა, ჩვენ დავიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ როგორ განგვეხორციელებინა პროექტი ისე, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური კომპონენტი უმაღლეს დონეზე გვემართა. ისე, როგორც ამას აკეთებენ მოწინავე ევროპულ ქვეყნებში. საზოგადოებისთვის ახალი არ არის, რომ ადგილობრივი არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების კონსტრუქციული თხოვნის საფუძველზე, კვლევების პროცესში ჩავრთეთ საერთაშორისოდ აღიარებული საკონსულტაციო კომპანიები და დამოუკიდებელი ექსპერტები. ჩვენი კეთილი ნების საფუძველზევე, ბიომრავალფეროვნების კვლევის პარალელურად, დამატებით ჩავატარეთ კლიმატისა და კუმულაციური ზემოქმედების კვლევაც.*

*მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ექსპერტებმა მოგვიმზადეს ყოვლისმომცველი რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია გარემოზე მიყენებული ზემოქმედების შემცირებისა და თავიდან აცილებისკენ. სწორედ ამ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სამოქმედო გეგმის აღსრულებაა ჩვენთვის პრიორიტეტული, მით უფრო მშენებლობის პროცესის პარალელურად.*

*აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ყველა იმ პროცესში, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა. სწორედმომავალი თაობა უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის პროცესში, ასევე ზოგადად გარემოზე ზრუნვის მიმართულებით დღეს გადადგმული ნაბიჯები დროთა განმავლობაში შედეგს აუცილებლად გამოიღებს. რადგან ბახვი ჰესის მაგალითზე ვსაუბრობთ, ვიტყვი, რომ ამ მხრივ გურიას ძალიან ნათელი და განვითარებაზე ორიენტირებული ახალი თაობა ჰყავს. ამაში მყარად დავვარწმუნა ჩვენმა საგანმანათლებლო პროექტებმა. მაგალითისთვის, გარემოსდაცვისა და განახლებადი ენერგიების შესახებ ჩატარებული ტრენინგების მიმართ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისპირისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩხაკაურას სკოლის მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოთქვეს და სწავლების პროცესშიც ძალიან აქტიურად არიან ჩართულები.*

*ყოველივე ეს გვაძლევს იმედს, რომ თანამედროვე ცოდნით და გამოცდილებით შეიარაღებული ახალი თაობა, ეფექტურად შეძლებს მათ წინაშე მდგარი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავებას, რასაც ჩვენ ხელს შევუწყობთ, როგორც განახლებადი ენერგიის გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობით, ასევეახალგაზრდების განვითარებისა და განათლების გზით.*

# უცხოელები რომელთა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ლანჩხუთისა და გურიის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვეს

## „ლამაზი კუთხეა გურია საქართველოსი“

გრ. რობაქიძე

*მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში ნათელ ფურცლებს წარმოადგენს ინგლისელი ქართველოლოგების და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების ცხოვრების ის წლები , რომლებიც მათ შესწირეს საქართველოს, ქართველი ხალხ-ისმრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის შესწავლას, ინგლისურენოვანი სამყაროსთვის მისი რაც შეიძლება უკეთ გაცნობის კეთილშობილურ მიზანს.*



მარჯორი უორდროპი



ოლივერ უორდროპი

და ძმა უორდროპები საქართველოს 1894 წლის მიწურულს ესტუმრნენ. ისინი დაინტერესდნენ საქართველოს ისტორიით, დაუახლოვდნენ ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას და ქართველ მოღვაწეებს. მარჯორი უორდროპმა, ამ „ინგლისელმა სუსტმა ქალმა,“ შესძლო ის, რაც სხვებმა ვერ გააკეთეს -- ინგლისურად თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები,“ „განდეგილი“. ის 18 წელი თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს,“ მაგრამ 1909 წელს ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა და პოემა გამოუქვეყნებელი დარჩა. ოლივერ უორდროპმა კი, ჯერ კიდევ, 1888 წელს ინგლისში გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს სამეფო.“, ასევე მან თარგმნა „სიბრძნე სიცრუისა, „ვისრამიანი“ და სხვა. დის გარდაცვალების შემდეგ ოლივერმა ოქსფორდის უნივერსიტეტში დაარსა მარჯორი უორდროპის ფონდი, რომელსაც ქართველოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

პირველად უორდროპები სოფელ ნიგოითში მაჭუტაძეებმა მიიპატიჟეს. თავად დიმიტრი მაჭუტაძის მეუღლე ანა ტარსეი გახლდათ.,

*„...ვეწვიეთ თავად მაჭუტაძის მეუღლეს ნიგოითში. ეს ქალი ინგლისელია, თავისი სიკეთისთვის დიდად პატივცემული, იგი დღენიადაგ ზრუნავს თავის გლეხებზე, გულისხმიერი ადამიანია და გლეხობაც ავადმყოფობისა და გასაჭირის დროს მას ხშირად მიმართავს რჩევისა და ნუგეშისთვის. მისი შვილები ისევე თავისუფლად ფლობენ ინგლისურს, როგორც ქართულს. მაჭუტაძეები დიდი სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდნენ.*

უორდროპები გურულებს ისე შეეთვისნენ, რომ მათ ნათესავებს ეძახდნენ და ყველაზე დიდხანს დარჩნენ გურიაში. და არა თუ დარჩნენ, შემდეგში დედ-მამაც და ძმა თომაც კი ჩამოიყვანეს. უორდროპები გურიელების მთელ ნათესაობას, მათ მსახურებსა და მოურავებსაც კი დაუახლოვდნენ. ამიტომ ხშირად გურულად უქცევდნენ ლაპარაკის დროს და წერილებშიც.

ოლივერ უორდროპს თურმე ნინო ბერიძის (ტელემაქე გურიელის მეუღლე) დის, ვენერას შერთვა უნდოდა, მაგრამ ნათესავებს უარი უთქვამთ: „*მაგ სიშორეზე როგორ უნდა გავათხოვოთ, ხომ სამუდამოდ დაგვეკარგებაო.*“ სიკვდილის წინ მარჯორი (ის ძალიან ახალგაზრდა 1909 წელს გარდაიცვალა) თხოვდა თურმე ძმას, საქართველოში წადი, ვენერა შეირთე და ჩემი ნივთები მას მიართვიო. ოლივერი ამ მიზნით ჩამოსულა კიდეც, მაგრამ ვენერა უკვე როსტომ წერეთელზე ყოფილა დანიშნული. ოლივერი ინგლისში გაბრუნებულა, ოღონდ ვენერასათვის ჩამოტანილი ნივთები უკან აღარ წაუღია და დიდი მორიდებით მისთვის მიურთმევია, როგორც მარჯორის ნაანდერძევი. შემდეგში ოლივერმა ცოლი შეირთო და შვილს ფარნაოზი დაარქვა. „*ქალი რომ ყოფილიყო, ვენერას დავარქმევდიო*“—იწერებოდა თურმე.

როგორც ავღნიშნეთ უორდროპები სოფელ ნიგოითში ეწვია თავად დიმიტრი მაჭუტაძის ოჯახს, რომლის მეუღლე ანა ტარსეი მათი თანამემამულე იყო.

ანა ტარსეი დაიბადა 1845 წელს ლონდონში. იგი უინძორის სამეფო სახლის მებაღის შვილი იყო. 1866 წელს ლევ ტოლსტოის მოწვევით მიწვევით ანა რუსეთში ჩავიდა, სადაც მწერლის შვილებს ზრდიდა. იასნაია პოლიანაში, ტოლსტოის სახლში ტარსეი 1866-1872 წლებში ცხოვრობდა. არაჩვეულებრივი სათნო ხასიათით და შინაგანი კულტურით ანამ ტოლსტოის ოჯახის წევრთა ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მწერლის შვილი ტატიანა წერდა: *„განსაკუთრებით სამ ადამიანს ვუმადლი მე ჩემს ბავშვობას: მამას, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩვენს ცხოვრებას და გვიქმნიდა იმ პირობებს, რომლებშიც ჩვენ*



ინჟინერ-მშენებელი ანტონ დაგოსტინი

ვიზრდებოდით. დედას, რომელიც ამ პირობებში ალამაზებდა ჩვენს ცხოვრებას ყველა იმ საშუალებით, რაც კი მას შეეძლო, და ანას, ჩვენს ინგლისელ აღმზრდელ ქალს, რომელმაც ჩვენს ოჯახში ექვს წელს იცხოვრა და გვაჩუქა ამდენი სიყვარული, *მზრუნველობა და მტკიცე ზნეობრივი საფუძველი...*

*ანა ჩვენს სახლიდან მაშინ წავიდა, როდესაც მე მეცხრე წელში გადავდექი და მის წასვლასთან ერთად გათავდა ჩემი ბავშვობაც და დამთავრდა ის ულრუბლო ბედნიერება, რომლითაც მე მანამდე ვცხოვრობდი.*

რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, ანა ტარსეი ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას“ ერთ-ერთი მოქმედი გმირის პროტოტიპად გამოუყენებია.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, თუ როგორი სიყვარულით და პატივისცემით ყოფილა გამსჭვალული დიდი რუსი მწერალი ნიგოითში გამოთხოვილი მაჭუტაძეების რძლისადმი. ამითაც იხსნება ლევ ტოლსტოის გამახვილებული ყურადღება საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხისადმი-გურიის და გურულებისადმი.

იასნაია პოლიანაში ცხოვრების ბოლო წლებში ტარსეის ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა, მას ციება შეჰყრია. ტოლსტოიმ ის ქუთაისში, თავის ცოლის დასთან, ტატიანა ბერსთან გააგზავნა გამოსაჯანმრთელებლად. ქუთაისში ანა გაიცნო თავადმა დიმიტრი მაჭუტაძემ, რომელსაც ქალი ძალიან მოსწონებია. ისინი 1874 წელს შეუღლდნენ. დიმიტრის მშობლები უკმაყოფილონი იყვნენ შვილის არჩევანით, განსაკუთრებით სარწმუნოებრივი სხვაობა იწვევდა მათ შერშფოთებას. თავდაპირველად ახალგაზრდები ცალკე ცხოვრობდნენ. როცა მათ პირველი შვილი შეეძინათ, მხოლოდ ამის შემდეგ შეურიგდნენ მშობლები ცოლ-ქმარს და სახლში გადაიყვანეს. დიმიტრის და ანას შეეძინათ ექვსი შვილი: დიმიტრი, მინი, ვიქტორ, ჯენი, ტატიანა და ნადეჟდა.

ანამ შესანიშნავად შეისწავლა ქართული ენა. მას საოცრად ჰყვარებია საქართველო და იქაური მაცხოვრებლები. ცხენზე შემჯდარი ის დადიოდა გურიის სოფლებში და უსასყიდლოდ მკურნალობდა ავადმყოფებს. ანა ტარსეის თაოსნობით ნიგოითში აშენდა ინგლისური პარკი, ასევე ინგლისური ჯიშის ხეხილის ბაღი. მან დაარსა მალარიასთან მებრძოლი სანიტარული ჯგუფი, რომელსაც ემსახურებოდა კარეტა. ანას გარდა, საზოგადოებრივ და ბიზნეს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მისი ნათესავებიც: ანას დისშვილმა, რომელსაც ჭიათურის მარგანეცის საბადოებზე ჰქონდა ბიზნესი, ააშენა ტენისის კორტები ჭიათურაში, ხოლო სიძემ, ოსკარ ზივერტმა დაარსა პირველი საფეხბურთო გუნდი საქართველოში, მან ჩამოიტანა ეკიპირება, ასწავლიდა ფეხბურთის წესებს...

გასაბჭოების შემდეგ ინგლისელები იძულებულნი იყვნენ შეეწყვიტათ საქმიანობა და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

სიცოცხლის ბოლო წლებში ანა ტარსეი მძიმედ ავადმყოფობდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა. დიმიტრი და ანა მაჭუტაძეების მამული და პარკი განადგურებულ იქნა. სასაფლაო, სადაც დასაფლავებული იყო ანა, განადგურდა, ხოლო საფლავის ქვები, მათ შორის ტარსეის, გამოყენებულ იქნა სხვადასხვა შენობათა ასაშენებლად ლანჩხუთში.

მაჭუტაძეების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ გურიაში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მათი ერთ-ერთი შთამომავალი გახლავთ პარლამენტარი ნიკა მაჭუტაძე.

უცხოელი რძლების გარდა გურულებს უცხოელი სიძეებიც ჰყავდათ, მაგალითად იტალიელი ანტონ დაგოსტინი. ის სპეციალობით მშენებელი იყო და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში აწარმოებდა მშენებლობებს. მისი აშენებულია სამტრედიის ძველი რკინიგზის სადგურის



მაჭუტაძეები თავიანთი სასახლის აივანზე(სოფ. ნიგოითი) სხედან მარცხნიდან თავადი ივანე გიორგის ძე მაჭუტაძე და მისი ძმა დიმიტრი მაჭუტაძე (ანა ტარსეის მეუღლე)

შენობა. დაგოსტინი საქართველოში ბევრს მოგზაურობდა და ერთხელაც მოხვდა გურიაში, რომელიც ძლიერ მოწონებია, რადგან მის მშობლიურ იტალიას აგონებდა თურმე. სუფსაში მან ააშენა რკინიგზის სადგურის შენობა, იმავე პერიოდში, იქვე მიმდინარეობდა ნავთის გადასამუშავებელი სადგურის მშენებლობა, სადაც 20 მეტრის



სხედან დიმიტრი მაჭუტაძე და მისი მეუღლე ანა ტარსეი-მაჭუტაძე.

სიმაღლის აგურის მილი ჩამოშლილა და ორი მშენებელი დაღუპულა. მაშინ ამ მილის ასაშენებლად მიიწვიეს დაგოსტინი, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი 25 მეტრის სიმაღლის მილის აგებას.ს ამწუხაროდ, აღნიშნული მილი დღეს აღარ დგას, იგი 2005 წელს დაუნგრევიათ. ანტონ დაგოსტინი სუფსაში დაფუძნდა. მან ცოლად შეირთო ადგილობრივი მცხოვრები მარინე დიმიტრის ასული ღლონტი და ხიდმაღალაში აგო საცხოვრებელი სახლი. მათ ჰყავდათ ცხრა შვილი: ემილია, ვიტორიო, ალბერტი, როზა, რინა, ანგელინა, მარო, ზინა და ალფონსო. ამ ოჯახმა დიდი ტრაგედია განიცადა. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა ანტონი, როგორც უცხოელი, არასაიმედო პიროვნებად მიიჩნიეს და დააპატიმრეს. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ 1932 წელს იგი გარდაიცვალა და დაკრძალულია სუფსაში, ხოლო მისი მეუღლე მარინე 1937 წელს გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ სუფსაში.

**ნონა იმნაძე ,**

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის



ანტონ დაგოსტინის მეუღლე და შვილები

# ილია და ორი ძმა თოიძე



**პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის მიერ 1916 წელს. თავდაპირველი ვარიანტი ინახება რუბენ აკოფიანის კერძო კოლექციებში.**

ეს ყველაფერი როდია, ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდებით ბატონ გრიგოლ (გიგოს) და ეს შეხვედრა 1902 წელს „შედგება“. სწორედ ამ წელს, ილია ანდრია ლულაძესა და გიგო თოიძესთან ერთად აყალიბებს კონსერვების დამამზადებელ ამხანაგობას „ანკარა“ და საგურამოში, თავისი სახლის წინ იწყებს წარმოებას“, რომლის შედეგებს, დაინტერესებული მკითხველი, თემურ ღლონტის მეტად საინტერესო ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეორნეობაში“ გაეცნობა:

„საგურამოს ილია ჭავჭავაძისეული მამულის ფართობი (1909 წლის მდგომარეობით) 554 დესეტინას შეადგენდა, ბაღსა და ვენახს 22 დესეტინა ეკავა, ტყეს 114, ხოლო საბალახო-სათიბი მინდორი 14 დესეტინაზე იყო გაშლილი.“

საგურამოს ილიასეული მეურნეობის სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია ისეთი საინტერესო საქმიანობის აღნიშვნის გარეშე, როგორიცაა ხილის სიროფების, კონსერვებისა და ჩირის წარმოება. ამ საქმიანობის შესახებ მასალები დაგვიტოვა ალექსი თურქიაშვილმა (სხვათაშორის, ძმების მამიდაშვილი გახლავთ - გ.კ.), რომელიც 1902-1903 წლებში ილიას მიწვეული ჰყავდა საგურამოს კონსერვის კოლოფის დამამზადებლად და სალეწ-სათიბი მანქანების შემკეთებლად.

1902 წელს ილია ჭავჭავაძეს, ანდრია ლულაძესა და გიგო თოიძეს ჩამოუყალიბებიათ კონსერვის დამამზადებელი ამხანაგობა — „ანკარა“. ეტიკეტი შედგენილი ყოფილა ქართულ-რუსულ ენებზე.

გ. თოიძე და ა. თურქიაშვილი მოლაპარაკებიან ა. ლულაძეს (ალბათ, როგორც ქალაქის საბჭოს წარმომადგენელს თ. ღ.) და შესდგომიან საქმიანობას. შეურჩევიათ შვიდი კაცი დამხმარე მუშებად, შეუძენიათ სილის საფცქვნელი და საშრომი მანქანები, წნეხი, კონსერვის დასამზადებელი ხელსაწყოები.

ამხანაგობის უშუალო ტექნიკურ ხელმძღვანელად გამოყვეს გიგო თოიძე. წარმოება მოწყობილი იყო საგურამოში, ილიას კარ-მიდამოში, სახლის წინ.

როგორც ა. თურქიაშვილის მოგონებიდან ირკვევა, საკონსერვო მასალად ძირითადად ილიას მამულში მოწეულ ხილს იყენებდნენ. პროდუქცი მრავალფეროვანი ჰქონდათ: კონსერვებს ატმისას და ბლისას, ჩირს ვაშლისას და საპობი ატმისას, სიტროს კი ვაშლის გულისა და ნაფცქვენებისაგან ამზადებდნენ.

ზემოაღნიშნული მოგონება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გვაწვდის ცნობას კონსერვების ტექნოლოგიური თავისებურების შესახებ. ამის თაობაზე ა. თურქიაშვილი იგონებს: *„როდესაც პირველად ილიას ატმის კონსერვი გაუხსნეს და აჩვენეს, როგორც ნიმუში, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს სიხარული გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ატამი დაკონსერვებული იყო თავისი ყუნწით და ფოთლით და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა კონსერვის ყუთის გახსნისას, თითქოს ნაწვიმარზე მოგეწყვიტოს ატამი.*

დასაწყისი „ალიონი“ №3

*აღსანიშნავია, რომ „ანკარას“ ფირმა „კონსერვებისა და ხმელის ხილის მშვენივრად დამზადებისათვის“ 1903 წლის 6 ოქტომბერს დააჯილდოვეს ოქროს მედლით პეტერბურგში გამართულ ხილეულობის პირველ გამოფენა-ბაზრ-ობაზე, რომელიც მეხილეობის სრულიად რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებამ მოაწყო.“*

აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1903 წლის 14 ოქტომბრის ნომერში ( 2292. გვ. 1-2).

პეტერბურგიდან გვწერენ: *„სექტემბრის 30-ს აქ გაიხსნა ხილეულობის პირველი გამოფენა-იარმარკა, რომელიც სრულიად რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებამ მეხილეობისამ გაჰმართა აქ მიხეილის მანეჟში. ექსპონენტთა შორის ქართველიც აღმოჩნდა — ფირმა „ანკარა“, რომელიც ხილის კონსერვებს აკეთებს თურმე და ხილსაც ამერიკულის. წესით აპარატებში ახმობს და ჩირად აკეთებს. როგორც შევიტყვთ, ფირმა „ანკარა“ დაუარსებია ბ-ნ ანდრია ლულაძეს შარშან. მწარმოებლად მიუპატიჟნია ამ საქმის კარგად მცოდნე ტეხნიკოსი ბ-ნი გრიგოლ თოიძე და მუშაობას შესდგომიან თავ. ილია ჭავჭავაძისა ბაღში სოფ. საგურამოს. წელს თავ. ჭავჭავაძეც შეამხანაგებია ამ ორ კაცს და საამხანაგო ნაწარმოების ნიმუშები აქ გამოუგზავნიათ გამოფენაზე. წარმოუდგენიათ კონსერვები ატმისა, თეთრი ბალისა, ალუბლისა და გარგარისა, ამასთან ჩირიც. 6 ოქტომბერს მიწათ-მოქმედების სამინისტროს დარბაზში დიდი კრება იყო, სადაც ყველა ექსპონენტი იყო მიწვეული. ამ დღეს საჩუქრები გამოუცხადეს ექსპონენტებს. ჩვენს ჯერ ნორჩ წარმოებას „ანკარა“-ს ოქროს მედალი მიუსაჯეს „კონსერვებისა და ხმელის ხილის მშვენივრად დამზადებისათვის“-ო, გამოაცხადა ექსპერტთა შეერთებულ კომისიების თავმჯდომარემ.*

რაც შეეხება პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ მომხდარ ამბავს, ამას ზემოაღნიშნული წიგნიდან გამცნობთ:

პეტერბურგის გამოფენა-ბაზრობიდან გიგი თოიძის დაბრუნების შემდეგ, ჩირი და კონსერვები თბილისში ჩამოუტანიათ გასაყიდად. მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე, მთავარი ფოსტის გაყოლებით პირველ ჩასახვევში, მარჯვენა კუთხის სახლში დაუქირავებიათ დუქანი, სადაც ა. თურქიაშვილს სამი თვის განმავლობაში გაუყიდია დარჩენილი პროდუქცია.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგობას თავისი საქმიანობა კომერციული მიზნით არ წამოუწყია: „ილიამ და მის გარშემო მყოფმა პირებმა ეს საქმე რაიმე კომერციული მიზნით კი არ დაიწყეს, არამედ მათ მხოლოდ ის სურვილი ამოძრავებდათ, რომ კარგი საქმე ხალხში დაემკვიდრებინათ. გამიგონია, რომ ილია სხვებსაც ურჩევდა სოფლის მეურნეობასთან ერთად ხელი მოეკიდათ კონსერვების, ჩირისა და სიტროს ამ წესით დამზადებისათვის.

დროა, ძმების ბიოგრაფიები გავაცნო გურულებს. ბუნებრივია, სრული ვერ იქნება.

მოსე თოიძით ვიწყებ და აქვე შევნიშნავ ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა „ბიბლიოვიკიდან“ მოტანილი სტატიის ავტორი, ხელოვნებათმცოდნე ქალბატონი მაია ციციშვილია.

**თოიძე მოსე ივანეს ძე** - (21.I.1871, თბილისი - 17.VI.1953, თბილისი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა ხელოსნის ოჯახში. სიღარიბისა და გაჭირვების მიუხედავად, ქვრივი დედა ცდილობდა, ბავშვებისთვის განათლება მიეცა და მათ გულში ხელოვნებისადმი სიყვარული გაეღვიძებინა. მოსემ ხატვის მიმართ ინტერესი მოწაფეობის წლებშივე გამოიჩინა. სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა პეტერბურგში ჯერ ლ. დმიტრიევ-კავკაზსკისთან და ფ. მალიავინთან განაგრძო, ხოლო მოგვიანებით ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, ი. რეპინის კლასში. 1901 წელს მისი სადიპლომო ნამუშევარი „მცხეთობა“ დაჯილდოვდა ოქროს მედლით. 1903-1904 წლებში მონაწილეობდა „პერედვიჟნიკების“ 31-ე საგაზაფხულო გამოფენასა და კავკასიის მხატვართა საზოგადოების გამოფენაში.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, განსაკუთრებით კი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდა თბილისურ ჟურნალ-გაზეთებში („კვალი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ფასკუნჯი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა). იყო თბილისში „რევმასის“ (რევოლუციის მხატვართა ასოციაცია) დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1915 თბილისში გაიხსნა მოსე თოიძის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ას ოცი სურათიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა: „ხევსური“, „მთვარიანი ღამე“, „განთიადი“, „გიორგი XIII“ და სხვა. მ. თოიძის ამ პერიოდის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის, უმეტესად, მშრომელი გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ცხოვრებას.

1919 წელს მ. თოიძემ, თავის ვაჟთან ი. თოიძესთან ერთად, მონაწილება მიიღო არტისტული კაფე „ქიმერიონის“ მოხატვაში. მ. თოიძის თაოსნობით, 1922 თბილისში დაარსდა სახალხო-სამხატვრო სტუდია, რომელსაც მხატვარი თავადვე ხელმძღვანელობდა 1930 წლამდე. მოსე თოიძე ერთ-ერთი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენში პროფესიულ სამხატვრო განათლებას. მისი დაარსებული სამხატვრო სტუდია გაიარეს მომავალში ისეთმა მხატვრებმა როგორებიც იყვნენ: უ. ჯაფარიძე, ს. ვირსალაძე, ქ. მაღალაშვილი, კ. მერაბიშვილი, დ. კაკაბაძე, კ. სანაძე, არქიტექტორი გ. ლეჟავა და სხვ.

მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი თემაა ძველი თბილისის ყოფა და ხედები: „ვიწრო ქუჩა“ (1895), „მრეცხავი“ (1902), „ბაზაზხანა“ (1914), „მაწვნის გამყიდველი“ (1918), „მეთევზის დუქანი“ (1919), „ნავი მტკვარზე“ (1925), „ძველი თბილისის აშუღი“, „თბილისის სახურავები“ (ორივე 1940); ციკლი - თბილისის მთვარიანი ღამეები: „თბილისი, მთვარიანი ღამე“ (1910), „ქალები ბანზე“ (1934); შექმნა თანამედროვეთა პორტრეტები („ი. გრიშაშვილი“, 1939; „მ. ჭიაურელი“, 1943 და სხვა). მოგვიანებით განიზრახა ლითოგრაფიული წესით ქართველ მწერალთა პორტრეტების სერიის გამოცემა. ამ მიზნით დახატა რუსთაველის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვა ქართველ მწერალთა პორტრეტები.

მოსე თოიძე 1930 წლიდან იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1953 მას საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში - ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); მ. თოიძის სახლ-მუზეუმი, თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი); ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში“.

გრიგოლ თოიძით ვასრულებ: **„გრიგოლ (გოგი) თოიძე,** აფხაზი (ფსევდონიმი)

გ. თ. (ფსევდონიმი)

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი.

დაბადების თარიღი: 1869

გარდაცვ. თარიღი: 15 იანვარი, 1915 (46 წლის ასაკში)

დაკრძალვის ადგილი: კუკიის სასაფლაო, თბილისი

კატეგორია:მეწარმე, მსახიობი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე:

**ბიოგრაფია**

დაამთავრა თბილისის სახელოსნო სკოლის სადურგლო განყოფილება, კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვების დროს (1880-1886), ხელმძღვანელობდა ჩუღურეთისა და კუკიის ტერიტორიაზე საუბნო წარმოდგენებს (დეკორაციებს ხატავდა მისი ძმა-მოსე თოიძე), რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალ „ანკარას", მონაწილეობდა აბრამ ცქიმნაურის ხალხოსნურ წრეში;1886-1887 წლებში ნაძალადევში დააფუძნა ბიბლიოთეკა, რომელიც ორი წლის შემდეგ მთავრობამ დახურა. მუშაობდა ზეიცერის ქარხანაში, სადაც გაფიცული და განთავისუფლებული მუშებისაგან შექმნა პირველი ამხანაგობა (არტელი) და ერთობლივი საწარმო. თავის სახსრებით გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძის "უცხოეთის მწერლები. პრუდონი" (თბ., 1890). 1895-1896 წლებში ჩამოაყალიბა მეფრინველეობისა და ხილის გახმობა-გამოშრობის საკონსერვო ამხანაგობა „ანკარა", რომელსაც პირველმა მიაწოდა ხილის საშრობი, ყურძნის საწური, სათიბი, წიწილების გამოსაჩეკი მოწყობილობები. 1910-1911 წლებში არჩეულ იქნა თბილისის ხმოსნად (მუშა-ხელოსნებისაგან პირველი ხმოსანი), მისი ხელმძღვანელობით ჩუღურეთსა და კუკიაზე გაყვანილ იქნა კანალიზაცია და კვირაცხოვლის (ჭირიან ხევის) გვირაბი ნიაღვრის გასასვლელად, ამავე დროს მსახურობდა საადგილმამულო ბანკის ტექნიკოსად და მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადო საქმეში. 1911 წლიდან თანამშრომლობდა ივანე როსტომაშვილის ყოველდღიურ გაზეთ „სინათლესთან"; ასევე სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც ათავსებდა სტატიებს, იცავდა მშრომელთა ინტერესებს ("უცნაური პირობანი" გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1902 წელი, 1905). პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც დაჭრილთა მზრუნველი კომისიის წევრი უვლიდა დაჭრილებს, რა დროსაც სახადი შეეყარა და გარდაიცვალა. მხატვარ მოსე თოიძის ძმა.

*წყარო: ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი, 1801-1952: ტ. II ე-ლ / იოსებ იმედაშვილი.-თბ.,2021.-გვ. 309“.*

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა გადავუხვიო.

გადავუხვიო რადგან მოსე თოიძის ერთი მოგონება, რომელიც პირველად ჩემი კოლეგის **ლევან თაქთაქიშვილის** წერილში წყაროს მოუთითებლად ვნახე (იხ. „თხზულებათა სრული კრებული : მოგონებანი, პორტრეტის ისტორია, გენეალოგია', 2005. გვ. 241-247) და რომელსაც ლამის ბოლომდე აქ გადმოვიტან, **საქმე ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტს ეხება დ მასში ერთ-ერთი მთავარი გმირი მოსე თოიძეა.**

ბატონ ლევანს „ვუსმენთ“:

*„ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ მის დებთან პოეტის დაგეროტიპი (ფოტოგრაფირების ძველი ხერხი) ინახებოდა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოიღო და თბილისელ ფოტოგრაფს, გვარად დუბელირს გადასცა გასამრავლებლად, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ხანძარი გაჩნდა, ეს ფოტოა-ტელიეც გადაიწვა და ბარათაშვილის სურათიც შეიწირა.*

*გიორგი თუმანიშვილმა სცადა, სურათი თავისი მამის მიხეილ თუმანიშვილის (1818-1975) არქივში მოეძებნა (მიხეილ თუმანიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარი იყო).*

*... თუმანიშვილისეულ ჩანახატებთან დაკავშირებით პ. ინგოროყვას აზრი ასეთია: „ამ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამტკიცებულად, ბევრი რამ საცილობელია ამ დილეტანტურ ესკიზში“. „თუმანიშვილისეული სურათი“ ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს ხელთ ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს (რომელსაც აკი ნანახიც ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაგეროტიპი — ლ. თ.)...*

*...მოსე თოიძე წერს, რომ ბარბარეს ამ ესკიზში თავისი ძმა უცვნია. დღემდე უცნობია ის ფაქტი, რომ იოსებ გრიშაშვილსაც უნახავს ბარბარე ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა. იგი წერს: „... 1916 წელს, გავემგზავრე პოეტის დასთან ბარბარე ვეზირიშვილთან და ვაჩვენე მიხ.*



**პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის მიერ 1916 წელს. საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1916 წელს.**

*თუმანიშვილის ნახატი. მან ამ სურათის და თავისი ძმის იგივეობის შესახებ ასეთი შენიშვნა მომცა: 1. წარბები ნამეტნავად აჭიმულია, უნდა სწორედ. 2. თმა მეტია უკნიდან. 3. მრგვალი თვალები ჰქონდა, უნდა მოგრძო, ნუშის თვალებს ვეძახდით. 4. თმა მეტი აქვს გვერდებიდან. 5. ყელი გამოვუჩინოთ. 6. ბანტი აგრე იყო. 7 ცხვირ ტუჩები ჰგავს. 8. ულვაშები ცოტა მოკლე. 9. ეცვა არა ვენგერკა, არამედ შტატიური“...*

..— ლიტერატურს მუზეუმში დაცული ერთ-ერთი მოგონების მიხედვით *„სოფიოს თავის თავზე დიდი წარმოდგენა ქონდა: ამაყობდა თავისი ძმით და თავადის ჩამომავლობით და უბრალოდ არავის თავს არ გაუყადრებდა. არავის ახსოვდა, რომ რაიმე საზოგადოებრივ მნიშვნელობის კრებაზე ან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მას მონაწილეობა მიეღოს“.* აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რატომ თავის დროზე ვერ განხორციელდა დ. ყოფიანის მეუღლის იდეა. მცდელობა კი, როგორც ჩანს, ყოფილა. ი. გრიშაშვილი წერს: ნიკოლოზ ბარათაშვილის დას, სოფიოს ვერ დააწერინეს პირჯვარ... ერთი სიტყვით, ვერ დაითანხმეს, რომ ვაჟად გადაცმულს სურათი გადაეღო. მაშინ ზაქარია ჭიჭინაძემ გამონახა სოფის სურათი და ცდილობდა, ამ პორტრეტიდან შეექმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახე.

ზაქარიამ ეს სურათი გადასცა იასონ ციციშვილს, მაგრამ მისმა პრიმიტულმა ნახატმა ვერ დააკმაყოფილა ზ. ჭიჭინაძე და მან ეს ფანქრით ნახატი გადასცა ახალგაზრდა მხატვარს, შორაპნის მაზრელ მანჯავიძეს... შემდეგ ეს ფანქრით ნახატი სურათი აჩვენა ნ. ბარათაშვილის მეგობრებს: კ. მამაცაშვილს, პოეტს ვ. ორბელიანს, გრ. ორბელიანს, გრ. გურიელს და თვით პოეტის დებს.

... 1916 წელს გადაწყდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება. შეიქმნა კომისიაც. კომისიას დაუვალებია ა. მრევლიშვილის, მ. თოიძისა და ნ. ნიკოლაძისათვის ბარათაშვილის დების თუმანიშვილის ესკიზთან დამოკიდებულების გარკვევა.

მოსე თოიძეს თვალში სცემია საკვირველი ხელოვნება ბუნებისა, რომელმაც სისხლით მონათესავე ადამიანებს დაანათლა სახის საერთო საგვარეულო ნაკვთები: *„გავოცდი, რომ დავინახე ის თავისებურება, რომელიც მათ საერთო ჰქონდათ, ნამეტნავად შუბლი, წარ- ბები და თვალების სიღრმე ღრმად ჩამჯდარი თვალები. მე მთელი კვირა ვხატე (იხ. გვ. 273, სურათი 3-4). ვეზირიშვილი მევედრებოდა სურათის გალამაზებას ვინ იცის, რამდენი საუკუნის შემდეგ გასინჯავენ, ყველას უნდა, რომ პოეტი ლამაზი იყოს. აი, პუშკინი, განა ისეთი ლამაზი იყო, როგორსაც ხატავენო“.*

კოლეგის ამ საინტერესო წერილის, რამდენიმე ფოტო ახლავს, მე, მიზეზთაგამო, მხოლოდ ორ მათგანს შემოგთავაზებთ.

**გიო კილაძე**

# ზაზა მასხულიას ხსოვნას



ოზურგეთი ყოველთვის გამოირჩეოდა ცნობილი, წარმატებული ადამიანებით.

მათ რიცხვში აუცილებლად დასახელდება **ზაზა მასხულია.**

ზაზა მასხულია დაიბადა ქ. თბილისში. მამა – ჟურნალისტი სოლომონ (სოსო) მასხულია გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მუშაობდა. შემდეგ სოლომონმა მუშაობა გააგრძელა ქ. მახარაძეში, რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. შვილებმაც ზაზამაც და დუდემაც აქ დაამთავრეს საშუალო სკოლა, ზაზამ ოქროს მედალზე. მოსწავლეობის პერიოდიდან ორივე უკრავდა ქალაქის საბჭოსთან არსებულ სასულე ორკესტრში: უფროსი ძმა – საყვირზე, ზაზა – ფლეიტაზე.

სამწუხაროდ, 1937 წლის რეპრესიები მთელი სისასტიკით შეეხო მასხულიების ოჯახს. მამა –სოსო მასხულია უსაფუძვლო ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. მეუღლეს – ნინო ხუჭუას, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, მასწავლებლის უფლება ჩამოართვეს. ძმები ოჯახის შესანახად ფიზიკურად მუშაობდნენ, თუმცა მათ სწავლა არ მიუტოვებიათ და წარმატებითაც სწავლობდნენ.

ზაზა მასხულია წარმატებული ფეხბურთელი იყო. 1937-41 წლებში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა მახარაძის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა „სიხარული", (მწვრთნელი ჟ. თოხაძე), სადაც ძმები მასხულიები საუკეთესო ფეხბურთელებად სახელდებოდნენ.



ზაზა მასხულია და კოტე გოგატაძე

1946 წელს მახარაძის „დინამო" ნაკრების სახელით საქართველოს პირველობაზე პირველი კატეგორიის გუნდებთან გამოდიოდა. ამ წელს მათ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს, რაშიც დიდი იყო ძმები მასხულიების წვლილი.

ზაზა მასხულია შემდეგ ქ. ქუთაისში, ერთ-ერთ წარმატებულ გუნდში თამაშობდა.

ხოლო დუდემ თამაში გააგრძელა თბილისის საფეხბურთო კლუბ „ტოდოში", სადაც 7 წელი ითამაშა. დუდემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გელოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა მახარაძის ქალაქის საბჭოში, გაზის სამმართველოს უფროსად.

ზაზა მასხულია სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, შემდეგ დაამთავრა იმავე უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი საქონელთმცოდნეობის სპეციალობით.

ზაზა მასხულია წლების მანძილზე მუშა-ობდა ქ. მახარაძეში ცენტრალური უნივერმაღის დირექტორად, საქვაჭრ-ობის დირექტორად, რაიკავშირის თავმჯდომარედ.

ზაზა მასხულიას ორი ექიმი ქალიშვილი ჰყავს, – ცისია და ნათია მასხულიები, სამი შვილის-შვილი და ხუთი შვილთაშვილი



ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი „სიხარული". დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) მესამე–მეოთხე დუდე მასხულია, ზაზა მასხულია.; (მარჯვნიდან მეორე) ვახტანგ ჩხიკვიშვილი, კოტე გოგატაძე. 1939 წ.

მეუღლე მაყვალა როგავა დღესაც ულამაზებს ცხოვრებას მთელს შთამომავლობას.

ზაზა მასხულია 1993 წელს, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ოზურგეთს ახსოვს ზაზა მასხულია, იხსენებენ მისი უმცროსი მეგობრები, ახლობლები. პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

**თემუჟი ბებურიშვილი,**
**ნუკრი ზაქარიაძე**

## სამგლოვიარო განცხადება

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ძიმითის საჯარო სკოლის მასწავლებელს მედეა მგელაძეს უსაზღვრო ტკივილის, უსაყვარლესი ძმის **მერაბ მგელაძის** გარდაცვალების გამო

## სკანვორდი



მოსასხამი; ფილმი იაპონურ ძაღლზე; კოსმოსური ორგანიზაცია; გასაფრენი მოწყობილობა; სადიო ....; მყარი ლითონი; ტრიუმფალური; ფრანგული ავტომობილი; დაცემული ქალაქი; თეატრი მილანში; ჩინური ღვთაება; ალადინის; თიხის სახურავი; დაცული ტერიტორია; ქართული ფილმი; მუშკეტერის იარაღი; საკანონმდებლო ორგანო; მტაცებელი ფრინველი; ძველი თბილისელი; ცხენის; მაუგლის მგელი; ბრენდი ნიანგის ლოგოთი; ხრიკი; ულამაზესი ფრინველი; ნაბიჯი; შტატი ამერიკაში

### პასუხები:

სურათზე: ბენია ჩხიკვიშვილი; ძველი თბილისელი –ყარაჩოღელი; დაცული ტერიტორია –ნაკრძალი; ალადინის –ლამპარი; თიხის სახურავი –კრამიტი; საკანონმდებლო ორგანო –პარლამენტი; ჩინური ღვთაება –ბუდა; ხრიკი-ფანდი; დაცემული ქალაქი –ტროა; ფილმი იაპონურ ძაღლზე -ჰაჩიკო; მოსასხამი –ლაბადა; მტაცებელი ფრინველი -ძერა; მუშკეტერის იარაღი –დაშნა; ქართული ფილმი –ბაშიაჩუკი; თეატრი მილანში –ლა სკალა; ყურძნის ჩირი -ქიშმიში; მაუგლის მგელი –აკელა; შტატი ამერიკაში –კლივლენდი; ნაბიჯი-კვალი; ცხენის-ნალი; ბრენდი ნიანგის ლოგოთ –ლაკოსტა; ულამაზესი ფრინველი -ფარშევანგი; ტრიუმფალური -თაღი; კოსმოსური ორგანიაცია –ნასა; გასაფრენი მოწყობილობა –ფრანი; მყარი ლითონი –ფოლადი; ფრანგული ავტომობილი –პეჟო; სადიო -მანე.

# ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში

დასაწყისი „ალიონი“ № 29-31, 2023 წ.




შეკრებილები კარგად მოჩანან რკინიგზის ხაზიდან და რკინიგზის მოსამსახურეთა სახლის ეზოდან. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე **ვასილი ვასილის ძე პილეცკი** ჩათრეული იქნა პარტიაში, რასაც ძალზე განიცდის, იგი ოთაროვის გავლენის ქვეშაა, რომელთანაც ატარებს სამსახურიდან თავისუფალ დროს. რკინიგზით მგზავრობის დროს მას მუდამ თან ახლავს კარგად ჩაცმულ ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც პირველი კლასის ვაგონებით მგზავრობენ. ეს ახალგაზრდები და პილეცკი ემზადებოდნენ ფოსტის გასაძარცვად. ახალგაზრდები პილეცკის საყვედურობდნენ იმის გამო, რომ დააგვიანა იმ გეგმის შედგენა, რომლის მიხედვითაც ფოსტა უნდა გაეძარცვათ. 30 ივნისს, საღამოს, პილეცკი ახალგაზრდებთან ერთად მატარებლით ბაქოში გაემგზავრა, ეს უკვე მისი მეხუთე მგზავრობაა. დაბრუნდება 2 ივლისს 12 საათსა და 30 წუთზე საფოსტო მატარებლით.

ჟანდარმერიის აგენტს დასმენის ბოლოს სარქის ოთაროვისა და ვასილი პილეცკის შესახებ ასეთი მინაწერი გაუკეთებია:

**ოთაროვი სარქის ალექსანდრეს ძე,** მეშჩანი, 48 წლისა, სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობისა, ამიერკავკასიის დაზღვევის საზოგადოების აგენტი, ცხოვრობს მალაკნების ქუჩაზე №50 სახლში მეუღლე ნინა მარტინოვასთან ერთად, რომელიც 56 წლისაა.

**პილეცკი ვასილი ვასილის ძე**, აზნაური, 22 წლის, ამიერკავკასიის რკინიგზის ფოსტის გადატანის VIII განყოფილების მოხელის თანაშემწე, ცხოვრობს ვაგზლის ქუჩაზე, №12 სახლში.

1907 წლის 3 ივლისს აგენტი "Большая" უფრო ვრცელ ინფორმაციას აწვდის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს: ერევანსკის მოედანზე ფული გაიტაცეს თბილისში ჩამოსულმა გურულებმა, იმერლებმა და მეგრელებმა. ფულის გატაცების მთელ ოპერაციას ხელმძღვანელობდა **ოთაროვი,** რომელიც ესერთა პარტიას ეკუთვნის ("...который принадлежит кпартииС.- .") და პარტიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ოთაროვი ამჟამად არაფრით არ არის დაკავებული, არსად არ მუშაობს. მისი ცოლი დროდადრო რაღაც სამუშაოებს იღებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას თვალის ასახვევად აკეთებს. ცხოვრებისათვის სახსარს ოთაროვს პარტია აძლევს, იგი მალაკნების ქუჩაზე ცხოვრობს, მისამართი ადრე გაცნობეთ. ეს ინფორმაცია სანდო პირისაგან მოვიპოვე.რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოხელე **პილეცკი** პარტიაში თითქმის 16 წლის ასაკიდანაა( ახლა იგი 22 წლისაა), ძალზე ნაღვლობს პარტიაში შესვლის გამო. პილეცკი რკინიგზის სადგურზე მუშაობს ფოსტის მოხელედ. ყველა მისი ამხანაგი ესერთა პარტ-იაშია ("...состоятвпартииС.-Р."), იგივე ითქმის ფოსტამტის სხვა მოხელეებზეც. პილეცკი სამუშაოდან თავისუფალ დროს ფოსტის მოხელის ტანსაცმელს არ ატარებს, იცვამს შავ ხალათს და იხურავს შლაპას. ოთაროვმა და სხვა ხელმძღვანელებმა ძარცვამდე დიდი ხნით ადრე იცოდნენ, რომ თბილისში პეტერბურგიდან უნდა ჩამოეტანათ 250.000 მანეთი. თავდაპირველად ბანდა აპირებდა თავს დასხმოდა საფოსტო მატარებელს სადმე ბაქოდან თბილისამდე. ბანდას სურდა, რომ ბაქოდან თბილისამდე საფოსტო ვაგონის გამყოლთა შორის პილეცკიც ყოფილიყო, ალბათ იქნებოდა კიდეც, მაგრამ პილეცკიმ უფროსებს სთხოვა და საფოსტო ვაგონის გაცილება თავიდან აირიდა. როგორ მოხდა ეს, შეიძლება შემოწმდეს ფოსტის გადაზიდვის უფროსთან. პარტიამ გადაწყვიტა ფულის გატაცების მიზნით მოეწყო თავდასხმა, მაგრამ არა თბილისში, არამედ თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზზე, სადაც ასევე მოძრაობდა ფულის გადამტანი საფოსტო ვაგონები. ფულის გატაცების მიზნით მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ოთაროვი. ძარცვის შემდეგ პილეცკი დაპატიმრების შიშით ორი-სამი კვირით და შეიძლება მეტითაც მიმალვას აპირებდა. პილეცკი აცხადებდა, რომ თავისი გაუჩინარება სამსახურის უფროსების წინაშესაპატიო მიზეზით უნდა აეხსნა, რათა მასზე ეჭვი არ მიეტანათ: "თუ მე არ მომკლავენ და ცოცხალი დავრჩები, ერთი თვით უნდა გავუჩინარდე". ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ფულის გატაცების შემდეგ პარტია გატაცების ყველა მონაწილის, მათ შორის პილეცკის, გადამალვას აპირებდა. ძარცვაში მონაწილეობის წინ წილი ყარეს და კენჭი პილეცკის ერგო. წილისყრა ავლაბარში, პარტიის კომიტეტში, შედგა. ბოლო დროს პილეცკის რწმენა იმდენად შეერყა, რომ, ჩემი აზრით, იგი მზადაა, უღალატოს პარტიას. ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ინახება ესერთა პარტიის კომიტეტში, რომელიც ავლაბარში, ერთ-ერთ სახლში, არის მოწყობილი. ცბიერი ოთაროვი მიხვდა პილეცკის სულიერ მდგომარეობას. ამიტომ მუდამ მის გვერდითაა, მარტო არ ტოვებს, მით უფრო, რომ პილეცკი მას კიდეც სჭირდება პარტიის მიერ დაგეგმილი რაღაც საქმისათვის. გატაცებული ფული ჯერჯერობით პარტიის კომიტეტში რჩება, მხოლოდ მის ნაწილს მისცემენ ძარცვის მონაწილეებს.

ამრიგად, სანდო მასალით მტკიცდება, რომ თბილისში ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცეს არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა). ძარცვის ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ესერთა პარტიის წევრები **სარქის ოთაროვი** და **ვასილი პილეცკი.**

უფრო დაწვრილებით, საარქივო მასალების მიხედვით, საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის საქმის ძიების პროცესში 1907 წლის 13 ივნისიდან 9 ნოემბრამდე ძიებას ეჭვიც კი არ აღძვრია ექსპროპრიაციაში **სიმონ ტერ-პეტროსიანის (კამოს)** მონაწილეობის თაობაზე. კამოს შესახებ ძიების მასალებში ცნობები ჩნდება 1907 წლის 9 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ბერლინში დააპატიმრეს. გერმანიის პოლიციამ კამოს ორი ბრალდება წაუყენა: ავსტრია-უნგრეთის მოქალაქედიმიტრი მირსკის პასპორტით ცხოვრება (ეს პასპორტი კამომ თბილისში აბანოში მოჰპარა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატ **დიმიტრი მირსკის)** და ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა. რაც შეეხება ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას, კამოსათვის ეს ბრალდება არ წაუყენებიათ. 1908 წლის მარტში, ერევანსკის მოედანზე განხორციელებული ექსპროპრიაციიდან ცხრა თვის შემდეგ, ქუთაისის ციხეში მყოფმა პატიმარმა — ტერორისტმა **არსენ ქარსიძემ** ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს წერილობით აცნობა, რომ ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცა სიმონ ტერ-პეტროსიანმა(კამომ). ძიებამ არსენ ქარსიძის ჩვენება მაშინვე ჭეშმარიტებად მიიღო და 1908 წლის 20 მარტისათვის კამოს მონაწილეობა ექსპროპრიაციაში დამტკიცებულად მიიჩნია. ამავე დროს კამო ოპერაციის ხელმძღვანელადაც იქნა მიჩნეული. საიდან უნდა სცოდნოდა არსენ ქარსიძეს ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ? საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ არსენ ქასრიძე ან პროვოკატორი იყო, ან, უბრალოდ, რაღაცას ურევდა. თავის ჩვენებაში იგი აღნიშნავდა, რომ კამო გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობაში მონაწილეობდაო. ცნობილია, რომ კამოს ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია;

2. ძიების მასალებში თბილ-ისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით იოსებ ჯუღაშვილის ხსენებაც კი არ არის — მასზე ეჭვიც არავის მიუტანია;

3. სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) დაკავშირება 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან შემდეგ ვითარებაში მოხდა: 1908 წელს ვლადიმირ ლენინის უახლოესი თანამებრძოლი **მეერ ვალახი** (იგივე მაქსიმ ლიტვინოვი, შემდეგში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი) შვეიცარიაში დააპატიმრეს თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას. ეს ფაქტი გახმაურდა მთელ ევროპაში. მაინც ვინ გაიტაცა ფული? — ამ კითხვას პასუხი თავისთავად გაეცა, რადგან ნაძარცვი ბოლშევიკების ლიდერ ვლადიმირ ლენინთან აღმოჩნდა. ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას კვლავ დააპატიმრეს ვლადიმირ ლენინთან დაახლოებული პირები: **ნიკოლაი სემაშკო**(შემდეგში საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი),**სარა რავიჩი** (ბოლშევიკ გრიგორი ზინოვიევის მეუღლე) და სხვები, თუმცა ძიებას 1912 წელსაც კი არ ჰქონდა იმისი დამამტკიცებელი მასალა, რომ ექსპროპრიაცია თბილისში სოციალ-დემოკრატებმა — იოსებ ჯუღაშვილმა და სიმონ ტერ-პეტროსიანმა — განახორციელეს;

4.დოკუმენტური მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ შემდეგი: 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კამოს არავითარი კავშირი არ ჰქონია, თუმცა გატაცებული ფული კი მის ხელთ მართლაც მოხვედრილა. ესერებმა ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამალეს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცოდა, მაგრამ სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ტერორისტებს თავს არ ესხმოდა. სამაგიეროდ, თბილისიდან გამავალი ყველა გზა შეკრული იყო, ავლაბარიც ალყაში ჰქონდათ მოქცეული. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ ესერები მიხვდნენ, რომ ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანდნენ და დახმარებისათვის ყველაზე შესაფერის კაცს — კამოს — მიმართეს. თუმცა საარქივო მასალებიდან არ ჩანს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კამომ ყველაფერი იოსებ ჯუღაშვილსაცნობა, რომელიც სწორედ იმხანადდაბრუნდა ბაქოდან თბილისში.

**ამრიგად, 1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციაში იოსებ ჯუღაშვილს მონაწილეობა არ მიუღია.**

სიმონ ტერ-პეტროსიანმამოახერხა თბილისიდან უცხოეთში ფულის გატანა. ფულის გატანის გეგმა,ცხადია, ესერების მიერ იქნებოდა შემუშავებული, კამოს მხოლოდ მათი მითითებების შესრულება დაევალებოდა. ფულის გატანის წინა ხანებში,როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, კამომ თბილისის აბანოში პასპორტი მოჰპარა ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს თანამშრომელ დიმიტრი მირსკის. ესერებმა გაითამაშეს ქორწილი: "სიძე" სიმონ ტერ-პეტროსიანი იყო, რომელსაც სახელმწიფო საზღვარი(ბათუმის პორტის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი) დიმიტრი მირსკის პასპორტით უნდა გადაეკვეთა. "დედოფლად" შეარჩიეს შოროპნის პრისტავის ქალიშვილი, რომელიც ესერთა პარტიის წევრი იყო(ცხადია, ქალის მამამ ეს არ იცოდა). გატაცებული ფული და საკრედიტო ბარათები მეფე-დედოფლის ბარგში იყო. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე "ნეფე-დედოფალი" პრისტავის თანდასწრებით მივიდა და საბაჟოც უმტკივნეულოდ გაიარა. ესერებმა კამო მკაცრად გააფრთხილეს, რომ ევროპაში ჩასვლის შემდეგ დიმიტრი მირსკის პასპორტი გაენადგურებინა, რადგან გამორიცხული არ იყო, რომ პასპორტის კანონიერ მფლობელს ოფიციალურად განეცხადებინა დოკუმენტის დაკარგვის შესახებ, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გაფრთხილება. კამომ ეს მითითება არ შეასრულა. იგი სხვა საზრუნავით იყო დაკავებული: კამო "დედოფალს" ოსტატურად დაუძვრა ხელიდანდა ფული ესერების ნაცვლად ვლადიმირ ლენინს მიუტანა. როგორც ჩანს, ესერები და ბოლშევიკები შემდეგ შეთანხმდნენ და ფულის ნაწილი ლენინმა ესერებს მაინც გადასცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესერები ბოლშევიკებს ასე ადვილად არ შეარჩენდნენ ფულს, უკიდურეს ზომებსაც კი მიმართავდნენ.

ბერლინში სიმონ ტერ-პეტროსიანი თბილისში ფულის გატაცებისა და შემდეგ მისი უცხოეთში გატანის ბრალდებით არ დაუპატიმრებიათ. კამო სხვისი პასპორტით ცხოვრების გამო დააკავეს. მისი დანაშაული დამძიმდა იმით, რომ ჩხრეკისას დინამიტის კაფსულები უპოვეს. გარკვეული ხნის შემდეგ კამო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას გადაეცა და მალე თბილისში აღმოჩნდა. აქ კიწაუყენეს მას ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცების ბრალდება. სასამართლო პროცესი მალე შეწყდა, რადგან კამომ თავი მოიგიჟიანა და ექიმებიც დაარწმუნა, რომ ნამდვილად სულით ავადმყოფი იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კამო სამკურნალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებს არ ერწმუნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ივან პასტრულინი, რომელმაც იმავე დღეს პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: სიმონ ტერ-პეტროსიანი შეშლილი არ არის და საავადმყოფოდან გაიქცევაო. მართლაც, კამომ სულ მალე დააღწია თავი საავადმყოფოს.

იოსებ ჯუღაშვილს თბილისში განხორციელებული ექსპროპრიაცია მოგვიანებით, 1918 წელს, გაუხსენა **ლევ ტროცკიმ (ბრონშტეინმა).** მან სტალინს საჯაროდ დასდო ბრალი ტერორისტებთან კავშირში. ვლადიმირ ლენინმა საქმე განსახილველად პარტიულ სასამართლოს გადასცა. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა რუსეთის ლიდერმა თავი დაიზღვია და ობიექტურობის დაცვის მიზნით პარტიული სასამართლოს თავმჯდომარედ იმხანად ემიგრაციიდან დაბრუნებული მენშევიზმის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი **იული-მარტოვი (ცედერბაუმი)** დაასახელა. იული მარტოვის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას კმაყოფილებით შეხვდა ლევ ტროცკი. პარტიულმა სასამართლომ გულმოდგინედ იმუშავა, მოუსმინა ლევ ტროცკისაც და იოსებ ჯუღაშვილსაც. განაჩენი ასეთი იყო: **იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაცასთან კავშირი არ ჰქონია**. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 1907 წელს ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას დღემდე იოსებ ჯუღაშვილს მიაწერენ. მემუარული ლიტერატურიდან, პუბლიცისტიკასა და ისტორიოგრაფიიდან ეს თემა მხატვრულ ფილმსა და მხატვრულ პროზაში გადავიდა. ადამიანთა ნაწილისათვის ის ჭეშმარიტებაა, ნაწილისათვის — სიცრუე.

(გაგრძელება იქნება)

**ვახტანგ გურული**

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 563-566

# უბრალოდ ინდიანა



7 თებერვალს, ინდიანა ჭანიშვილს 86 წელი შეუსრულდა. როგორც ყოველთვის, ახლობლებმა გულთბილი სიტყვები კიდევ ერთხელ არ დაიშურეს მისთვის: ,,აი, ვინ არის ნამდვილი ამაგდარი, ,,უკეთილშობილესი და თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი: ,,იშვიათი სიკეთითა და სიყვარულით სავსე“....

მაგრამ, რაოდენ ბედნიერ ვარსკვლავზე უნდა იყო დაბადებული, რომ ეს უთბილესი სიტყვებიც კი ჯეროვნად ვერ ახერხებს შენი პორტრეტის წარმოჩენას.

წლებმა კი არ ჩაიარეს, ჩაიქრიალეს. ბევრი რამ შემოინახეს, ბევრი ალბათ ჩააქრეს კიდეც.

იგი ღვთის საჩუქარია, რომელიც ჭეშმარიტად ამართლებს იოსებ ნონეშვილის სტრიქონს – ,,*წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი*“.

დაბადების დღის მოსალოცად სახლში მეგობრები ესტუმრნენ: №2 საჯარო სკოლის ენისა და მეტყველების სპეციალისტი მარინა წულაია, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე მარინა ტაბიძე, საბავშვო ბაღის აღმზრდელი ნონა ღლონტი და რაღა თქმაუნდა სპმთპ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ქალბატონი როზა გოგუაძე, რომლის თვალთახედვიდან არასდროს ქრებიან ის ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება განატლების სიტემის განვითარებას მიუძღვნეს.

,,19 წლის ვიყავი – იხსენებს ინდიანა, როცა ქუჩაში ჩემი სკოლის დირექტორი ელენე თავართქილაძე შემხვდა და მეორე დღისთვის სკოლაში დამიბარა. შეხვედრაზე მისულს ქალბატონმა ელენემ სკოლის საქმეთა მმართველობა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით დავთანხმდი, რადგან ეს იყო მშობლიური სკოლა, სადაც ქალბატონი მარგალიტა კუნჭულიას ჯადოსნური გაკვეთილები მქონდა მოსმენილი; სადაც ჩემი უნიკალური კლასელები – რუსუდან ბერიძე, ნუნუ ჯაბუა, ელეონორა გობრონიძე, ჯულიეტა ინწკირველი (ყველას ვერ ჩამოვთვლი) სწავლობდნენ.

სკოლაში სამუშაოდ 19 წლის მივედი და 82 წლის წამოვედი ჩემივე ნებით, რადგან ჩავთვალე, რომ დადგა მშობლიურ სკოლასთან განშორების დრო. წამოვედი და თან გამოვიყოლე ჩემი საყვარელი კოლეგების, სკოლის დირექტორის – ფატი სიორიძის სიყვარულით გამთბარი სიტყვები, რომელიც დღემდე თან დამაქვს გულით. 62 წელი ვემსახურე ჩემს საყვარელ სკოლას.

ინდიანა ჭანიშვილი დღესაც გამორჩეული მასპინძელია, სახეზე ღიმილი ისევ ისე დასთამაშებს როგორც წინათ. ცხოვრობს თავის უსაყვარლეს ადამიანებთან. ოჯახის თითოეულმა წევრმა კარგად იცის მისი ფასი. უფროსების კვალობაზე, 2 წლის პატარა დავითიც განსაკუთრებული სიყვარულით შესციცინებს დიდ ბებიას.

ეს დიდი და თბილი ოჯახური გარემო, კოლეგების, ახლობლების უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა კიდევ დიდხანს აცხოვრებს მას ამქვეყნად, რადგან იგი, ასეთი თბილი, კეთილი და ერთგული კვლავ ძველებურად სჭირდება ყველას. ინდიანა ღვთის საჩუქარია.

**მანანა ქილიფთარი.**

# ,,ოცნება“ ,,ჰარირას“ ფესტივალის საუკეთესო ანსამბლი



საქართველოს ეროვნული ფილარმონიის ორგანიზებით დაბა ბაკურიანში გაიმართა ფესტივალი ,,ჰარირა“.

ფესტივალში მონაწილეობისთვის მიწვეული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ანსამბლი ,,ოცნება“ (ანსამბლის ხელმძღვანელი - **ნინო ჩხაიძე)**

ანსამბლი საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის მედლებით და დიპლომებით დაჯილდოვდა.

## ვულოცავთ!

# რეზო თედორაძე-91



**ბატონო რეზო,**

გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს-დაბადების 91 წლის იუბილეს. ეს მთელი საუკუნეა ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომისა და მოღვაწეობისა. თქვენი ცხოვრება მაგალითია ხალხისა და ქვეყნის უანგარო და თავდადებული მსახურებისა. თქვენ უდიდესი წვლილი მიგიძღვით რეგიონის კულტურული ცხოვრების აღმავლობაში. წლების განმავლობაში სათავეში ედექით ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის, ეკლესია-მონასტრების დაცვა-აღდგენის საქმეს. ასევე განუზომელია თქვენი წვლილი ხალხური სიმღერების, მათ შორის, ფენომენალური გურული სიმღერების პოპულარიზაციაში. ამ მიმართულებით თქვენი ხელმძღვანელობით არაერთი კულტურული ღონისძიება ჩატარებულა, რითაც დიდი ასპარეზი ეძლეოდა ახალ თაობას. მნიშვნელოვანი კვალი დატოვეთ რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში, რამაც მოგიტანათ დამსახურებული ავტორიტეტი, უამრავი ჯილდო და აღიარება. თქვენ ბრძანდებით ღირსების ორდენოსანი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი. როგორც ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ბევრი რამ გააკეთეთ კოლხეთის,საქართველოს ისტორიის შესწავლის, მწერალთა და მეცნიერთა ღვაწლის წარმოჩენისათვის. გურიისა და სამეგრელოს მხარეთა ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარებისათვის.

91 წელი – ეს მართლაც დიდი გადასახედია. უკან რჩება მშფოთვარე, მხიარული, ტკივილიანი დღეები. იყო წინააღმდეგობები, მაგრამ ყოველთვის გამოგარჩევდათ მოყვასის სიყვარული, ერთგულება, უღალატობა, პასუხისმგებლობა, შემოქმედობითობა და აღმაფრენა. ამიტომაც ხვდებით დიდ იუბილეს, დიდებული ოჯახის-მეუღლის, შვილების, შვილიშვილების და მთელი საზოგადოების სიყვარულით გარემოსილი. დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ.

დაე, ყოველთვის გეთქვათ – ,,ვულოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე“!

*ფოთის საზოგადოებისა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის, საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) ასოციაციის სახელით:*

**დოდო ხუხია, ირაიდა ფაცია, ჯემალ გურგენაძე, გია დარჯანია, ვაგნერი მხეიძე, ზურაბ აბრალავა, რეზო ჩაგანავა, დათო პაჭკორია, გოგი გუდავაძე.**

# ,,ალიონი“ ტკბილად გვესაუბრება !!!

გადავშალე. მყისვე თვალი მოვკარი ლაზარე ლომჯარიას ანთებულ, ნაპეწკლიან თვალებს. ამ კაცს ვიცნობდი. ხელოვნების ქურუმი ტრისტან სიხარულიძე აწერს ხელს იმ პატარა, გულიან პუბლიკაციას, ფოლკლორის ცენტრში რომ მომზადებულა. რამდენი ტკბილი და საამაყოდ მოსაგონარი ადამიანია წარმოჩენილი!

მე ისევ ლაზარე ბაბუას გავიხსენებ.

ჩვენი სახლის მიმდებარედ, ,,იათა“-ს (ღელეა ასეთი, ,,ნასიმაგრალი“-ს მთიდან გამოედინება, ლიხაურ-ჭანიეთს გაივლის და ,,ჩოლოქს“ შეერთვის) ნაპირზე საყანე გვქონდა. ნადი შეკრიბა მამაჩემმა, და სიურპრიზი მოიწყვეს მეზობლებმა –,,ნადურით“ დავამთავროთ მარგვლაო.

ლაზარე ლომჯარიას მკლავში ძველებური ძალა აღარ ჰქონდა, ამიტომ საღამოსპირს ,,ვოლგით“ააკითხეს. მისი მშვენიერი კარ-მიდამო ქედზეა, ,,თამარის ციხეს“ დასცქერის სამხრეთიდან, ირგვლივ წალკოტია ,კარგ ამინდში თვალი ზღვასაც ხედავს... შოთას ოჯახში გეპატიჟებით, სიმღერა გვინდა შენიო!

...ნადში ჩაიყენეს, ორივე მხრიდან ამოუდგნენ, თოხიც მიართვეს, წუღები ეცვა, დოლბანდითაც წაუკონეს თავი, სიბერე შეჩენილს ხალისი მიეცა! ქუხდა ,,ნადური“. ისე მორთეს რიტმი, ნაპირზე გავიდნენ, ნახევარი ჰექტარი მოარჩვეს, თოხები დაწყევლილივით დაყარეს, სიმღერით მოიხვნეშეს გული! დაღლილობა ვიღასღა ემჩნეოდა.

ასეთია ჩვენი დვრიტა – წუთისოფელი. ლაზარეც ერთი იმათთაგანი იყო. ოფლით ურწყვია მამული-არემარე. სიმღერაში კი – თვითნაბადი ვირტუოზი, ამიტომ ველარ ივიწყებს ხალხი. მეც მათ რიგში ვარ; რამდენს ვერ ვიმეტებ დავიწყებისათვის! ,,ალიონი“ ხომ მუდამჟამ გვახსენებს და გვიყვება ტკბილ ამბებს გარდასულთა თუ დღევანდელთა ავკარგიანობაზე!

...,,იათა“ კი მირაკრაკებს ვაშტიალის ველობზე, დასავლეთისკენ უქნია პირი –მზეს მისდევს ზღვისკენ, საიდანაც დაისი გვიცქერს. იქ დიდხანს არ აყოვნებს მზე.

დღეს ღამე უთენებია!

ამობრწყინდება ცის კარზე, რათა გაგვათბოს ალიონით.

და ჩვენი ნამღერით დატკბეს!

**რუსლან ურუშაძე**

**P.S**. სევდას მაინც ვერ ავცდებით; მხოლოდ მინაწერში ჩამოვიტან: ეს იყო ლაზარე ლომჯარიას ბოლო ,,ნადური“ მარჩენალი სიმინდის ყანაში...

# სოფელ აცანაში, მაგიდის ჩოგბურთში, გია ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა

სოფელ აცანაში, მაგიდის ჩოგბურთში, გია ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა, რომელშიც 2009-2010 წელში დაბადებული საჯარო სკოლების მოსწავლეები ასპარეზობდნენ.

ბიჭებს შორის პირველ ადგილზე – ლანჩხუთის მეორე საჯარო სკოლის, მეორეზე - გულიანის, მესამეზე კი აცანის სკოლის მოწავლეები გავიდნენ.

გოგონებს შორის პირველი ადგილი აცანის, მეორე - ჩოჩხათის, ხოლო მესამე მეორე საჯაროს სკოლის აღსაზრდელებმა დაიკავეს.

ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურს ცეტნრის ხელმძღვანელი ნინო ჩიტაძე ესწრებოდა.



გამარჯვებულებს ფულად პრიზებთან ერთად თასები და მედლები მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გადაეცა.

| 15 თებერვალი ხუთშაბათი | 16 თებერვალი პარასკევი | 17 თებერვალი შაბათი | 18 თებერვალი კვირა | 19 თებერვალი ორშაბათი | 20 თებერვალი სამშაბათი | 21 თებერვალი ოთხშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +7+15 | წვიმა +7+12 | წვიმა +5+9 | წვიმა +3+8 | წვიმა 0+3 | მზე, ღრუბელი +3+7 | მზე, ღრუბელი +7+9 |